# იტალიური ენის 4 დღიანი ინტენსიური კურსი კახეთში: 20-23 აგვისტო

იტალიური ენის მასწავლებელი, ფედერიკა ამადუჩი ქალაქ ლუკადან ამჟამად საქართველოს სტუმრობს. ის გაუძღვება ამ კურსს. კურსი ხორციელდება ლუკას მუნიციპალიტეტის პატრონაჟით, რის დასრულების შემდეგაც თითოეულ მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატი.

კურსის ღირებულებაა 250 ლარი, რაც მოიცავს კვების, სასტუმროში განთავსების, მგზავრობისა და კულტურული ღონისძიებების/ექსკურსიების ხარჯებს. შესაძლებელია ამ თანხის ორ ნაწილად გაყოფა და ისე გადახდა. პირველი ნაწილი - 150 ლარი კურსის დაწყებამდე, ხოლო დარჩენილი 100 ლარი 30 სექტემბრამდე.

ეს კურსი შესანიშნავი შესაძლებლობაა მათთვის, ვისაც სურს იტალიური ენის შესწავლა კვალიფიციურ მასწავლებელთან, რომლისთვისაც იტალიური ენა მშობლიურია. ამასთანავე კურსის დროს შეძლებთ სხვადასხვა გასართობი აქტივობებით დაკავებას.

მონაწილეობის მისაღებად გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე

Città di Lucca

ici.tbilisi@culturaitaliana.org
557 53 81 40